საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

N 04/771
18.05.2026

ბრძანება

771-01-4-202605181732

შპს „სმარტნეტის“ (ს/ნ 402063020) 2026 წლის 05 მაისის №01/3946 დახარვეზებული საჩივრის და 2026 წლის 18 მაისის №01/4373 საჩივრის განუხილველად დატოვების თაობაზე

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 17[1] მუხლის მე-4 პუნქტის, „საჩივრის ფორმის, მისი წარდგენის წესის და საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებული პროცედურისა და ვადების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის №38 ბრძანებით დამტკიცებული პროცედურის მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად,

ვბრძანებ

1. განუხილველად იქნეს დატოვებული შპს „სმარტნეტის“ (ს/ნ 402063020) 2026 წლის 05 მაისის №01/3946 დახარვეზებული საჩივარი და 2026 წლის 18 მაისის №01/4373 საჩივარი.

2. საჩივრის განუხილველად დატოვება არ ართმევს პირს უფლებას, მომართოს საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს იმავე დავის საგანზე, იმავე საფუძვლით საკითხის შესწავლის მოთხოვნით.

3. წინამდებარე ბრძანება ეცნობოს მომჩივან მხარეს.

4. ამ ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით წინამდებარე აქტის ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

5. ბრძანება მისი მიღებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში გამოქვეყნდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

6. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

საფუძველი: საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს ეკონომიკური კონკურენციის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის 2026 წლის 18 მაისის №03/835 მოხსენებითი ბარათი.

ირაკლი ლექვინაძე



თავმჯდომარე